



ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ მიმდინარეობს სახალისუფლავო ცვლილებები და შესაბამისად, ყვარლის მუნიციპალიტეტს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს



დავით ქაჩიკაშვილი – ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ქაჩიკაშვილი დაიბადა 1983 წლის 5 იანვარს ყვარელში. 1999 წელს დაამთავრა ახალსოფლის I საშუალო სკოლა, ხოლო 2004 წელს – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი წარჩინებით. პარალელურად აქტიურად იყო დაკავებული სპორტით, კერძოდ, ვარჯიშობდა ძიუდოში. 2006-2008 წლებში იყო მსოფლიო ჩემპიონი ძიუდოს გუნდურ პირველობაში. არის ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, ათენის და პეკინის ოლიმპიური თამაშების მონაწილე. 2012 წლის დეკემბრის თვიდან არის საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი. 2012-2014 წლებში მუშაობდა ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობაზე. 2017 წლის

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით, გაიმარჯვა და გახდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი. 2017 წლის 20 ნოემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე დავით ქაჩიკაშვილი ხმათა უმრავლესობით აირჩიეს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ. ჰყავს მშობლები დედა – მარიამ ალაღოშვილი (პროფესიით ვეტექიმი), მამა – ალექსანდრე ქაჩიკაშვილი (პროფესიით ვეტექიმი). დაოჯახებულია – ჰყავს მეუღლე თამარ და-თულიშვილი (პროფესიით იურისტი) და ვაჟიშვილი ალექსანდრე.

როსტომ სესიაშვილი – ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი

დაიბადა 1987 წლის 8 ივლისს ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში; 2004 წელს დაამთავრა ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის საშუალო სკოლა; საგანმანათლებლო სკოლებში სოფლის მეურნეობის სწავლების დანერგვის მიმართულებით გაიარა სწავლება (2003 წ.) ამერიკის შეერთებულ შტატებში, ესპარდოს უმაღლეს სკოლაში (UC Davis უნივერსიტეტი); 2008 წელს დაამთავრა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკურ-პუმანიტარული ფაკულტეტი, მიენიჭა ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; 2008-2011 წლებში სწავლობდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიის ფაკულტეტზე. მინიჭებული აქვს აგრონომის მაგისტრის აკადემიური ხარისხი; 2003-2004 წლებში იყო ორგანიზაცია -ის („მომავალი ფერმერები საქართველოში“) პრეზიდენტი. 2005-2015 წლებში მუშაობდა შპს „ქინძ-მარაულის მარანი“ სხვადასხვა პოზიციაზე: იყო რიგითი მუშა (2005-2007 წწ.) მთავარი აგრონომის თანაშემწე (2007-2008 წწ.) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ტურიზმის მენეჯერი (2008-2013 წწ.) 2010 წლიდან დღემდე არის შპს „ეროს“ დამფუძნებელი და დირექტორი; 2011 წლიდან სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრის („სოციალიზაცია საქართველოს საზოგადოება“) ვიცეპრეზიდენტი; 2015 წლიდან შპს „სესიაშვილის“ დამფუძნებელი და დირექტორი; 2013 წლიდან „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ყვარლის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა; გავლილი აქვს სხვადასხვა სასწავლო კურსი საქართველოში და საზღვარგარეთ; ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.



დედა – ირმა ბერიაშვილი (პროფესიით ფარმაცევტი) მუშაობდა შპს „ავერსის“ ყვარლის აფთიაქის ფილიალის მენეჯერად დაოჯახებულია – ჰყავს მეუღლე ლიკა დენტოშვილი და ვაჟიშვილი არჩილი. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ყვარლის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად წარადგინა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, პირველივე ტურში ამომრჩეველთა ხმების 63,85 პროცენტში მიიღო, დიდი უპირატესობით გაიმარჯვა და არჩეულია ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე.

გივი ზაუტაშვილი – ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე



დაიბადა 1982 წლის 23 მაისს მოსამსახურის ოჯახში. დედა პედაგოგია, მამა – ისტორიკოსი. 1999 წელს წარმატებით დაამთავრა ყვარლის N4 საშუალო სკოლა, ხოლო 2005 წელს – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2006-2007 წლებში მუშაობდა ყვარლის რაიონის გამგეობის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელად, 2007-2011 წლებში – ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის მთავარ სპეციალისტად იურიდიულ საკითხებში, 2011-2012 წლებში – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ყვარლის ცენტრის კოორდინატორად, 2014 – 2017 წლებში – ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების საკითხთა დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსად. 2017 წლის 27 ნოემბერს დაინიშნა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



ვანო მამულაშვილი – ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

დაიბადა 1986 წლის 14 იანვარს, ქ.მოსკოვში, მოსამსახურის ოჯახში. დედა – ექიმი, მამა – ლევის ტექნოლოგი (მეღვინე). 2003 წელს დაამთავრა ყვარლის I საშუალო სკოლა, ხოლო 2003-2007 წლებში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის /კახეთის/ ფილიალის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომისტი სპეციალობით, 2007-2008 წელს ACCA-ის ინგლისურენოვანი კურსი „ფინანსური აღრიცხვა“, 2015 წელს – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში – „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“. 2008-2012 წლებში მუშაობდა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნიკო“-ში ექსპერტ-მეცნიერად.

2013-2017 წლებში მუშაობდა ააიპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახურ“-ში შესყიდვების მთავარ სპეციალისტად. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად წარადგინა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-ში, გაიმარჯვა და გახდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი. 2017 წლის 20 ნოემბრის ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე ვანო მამულაშვილი აირჩიეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ. ოჯახური მდგომარეობა – დასაოჯახებელი.



დიდი ქართველი მწერლის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მშობლიურ ყვარელში 8 ნოემბერს გაიმართა ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ილიაობა“, რომელიც ილიას

დაბადებიდან 180 წლის იუბილეს მიეძღვნა. ამ დღეს ყვარელს მრავალი სტუმარი ეწვია, რომელთაც ყვარელელებთან ერთად მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში.



საიუბილეო კონცერტი, რომელიც სოსო ფუტყარაძის შემოქმედებას მიეძღვნა



24 ნოემბერს ყვარლის კულტურის სახლში ჩატარდა საიუბილეო კონცერტი, რომელიც მიეძღვნა ხელოვნების ამგდარ მოღვაწეს ბატონ სოსო ფუტყარაძეს. ყვარლის საპატრიო მოქალაქეს, ღირსების ორდენის კავალერს, ბატონ სოსო ფუტყარაძეს, დაბადებიდან 77, ხოლო ქორეოგრაფიული მოღვაწეობიდან 55 წელი შეუსრულდა. იგი, ათეული წლების განმავლობაში აზიარებდა ქართულ ქორეოგრაფიას ყვარელელ ახალგაზრდებს. რაც მთავარია, მის მიერ ჩამოყალიბებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ყვარელი“ ყოველთვის წარმატებული და გამორჩეული იყო საქართველოში. სწორედ ამაზე მეტყველებს მრავალ კონკურსზე და ფესტივალებზე გამოსარჩეული გამარჯვება. კონცერტში, ყვარლის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ქალბატონი იზოლდა იოსებანი უძღვებოდა და მასში მონაწილეობას იღებდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტში არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლები: „ყვარელი“

(ხელმძ: ს. ფუტყარაძე), ანსამბლი „როკვა“ (ხელმძ: ნინო ჩიხიაშვილი) ახალსოფლის ქორეოგრაფიული ანსამბლი (ხელმძ: მარიეტა არჩუაშვილი), ფოლკლორული სიმღერის ანსამბლი „ხეურო“ (ხელმძ: ირაკლი მათიკაშვილი). კონცერტს ესწრებოდნენ საქართველოს ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირის წევრები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ბატონი სოსოს შემოქმედების თავყვანისმცემლები, რომელთაც აპლოდისმენტები და ოვაციები არ დაიშურეს ბატონი სოსოს მოღვაწეობის მიმართ. აღსანიშნავია, რომ სოსო ფუტყარაძე წარდგენილია საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირის ღირსების ორდენზე. ყვარლის კულტურის სამსახურის სახელით, მას გადაეცა საჩუქარი – წმინდა გიორგის ხატი. კვლავაც მხნეობას და ჯანმრთელობას ვუსურვებთ ბატონ სოსოს!
ია გიგიაშვილი

ილიაობა 2017

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყვარელელებით შეამკეს ილიას ბარელიეფი ყვარლის შემოსასვლელში. ასევე, მისი ძეგლი „ილიას გორაზე“.

ყვარლის ისტორიული ციხე-გალავანის ტერიტორიაზე მოწყობილი ფაცხები ყველა სტუმარს მასპინძლობდა, სადაც შეიძლება კახური ტრადიციული კერძების და ღვინის დაგემოვნება. ასევე გაიმართა შეჯიბრი ჭიდაობაში. აქვე, მოეწყო გალა – კონცერტი, სადაც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ფოლკლორული, ქორეოგრაფიული და საესტრადო ანსამბლები. კონცერტს უძღვებოდა მსახიობი ლაშა რამიშვილი.

ღირსეული წინაპრის პატივსაცემად მოსულ საზოგადოებას მიესალმნენ და „ილიაობის“ დღესასწაული მიულოცეს კახეთის მხარის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა და საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა მიხეილ მაჭარაშვილმა. ამავე დღეს დასახელდნენ ყვარლის საპატრიო მოქალაქეები: ირაკლი მათიკაშვილი – ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.

ზურაბ იაკობიშვილი-მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.. თამარ ზურიაშვილი-ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი. იზოლდა იოსებანი-პოეტი, კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი. სერგო ლონიაშვილი-ექიმი. ბეთან კობიაშვილი-მხატვარი. ავთანდილ სამუკაშვილი-მხატვარი. ნლევიანელი „ილიაობა“ იმითაც



იყო გამორჩეული, რომ შესრულდა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის დაარსებიდან 80 წლისთავი. ილიას კვირეულის ფარგლებში რამდენიმე დღის განმავლობაში მუზეუმში მრავალი საინ-

ტერესო ღონისძიება ჩატარდა. „ილიაობის“ დღეს, ტრადიციისამებრ მუზეუმში მოეწყო კახეთის რეგიონის წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოება.
ია გიგიაშვილი



ილია ჭავჭავაძე მთელი ღამე არ მოშორებია ილიას ოლღა

მთელი დღე ილია თავს სუსტად და დამძიმებულად გრძობდა. მიუხედავად ამისა, დილიდან საღამომდე მუშაობა არ შეუწყვეტია. სახლში დაბრუნებულმა მეუღლეს შესწივლა, შეუძლოდ ვარ, რა მემართება, არ ვიციო. შენუხდა ოღღა და ილიას შუბლზედ ეამბორა მოფერების ნიშნად და იმის გავების მიზნით, ხომ არ ჰქონდა ავადმყოფს სიცხე. იგრძნო, რომ საკმაოდ მაღალი სიცხე ჰქონდა. ამიტომ სასწრაფოდ გამოაძახებინა მკურნალი. ექიმმა ყურადღებით გასინჯა ილია.


გაცივებული ბრძანდები, უნდა დაისვენო ცოტა ხნით, იწვე, რომ სრულიად გამოჯანმრთელდე, საჭირო ნამლებიც დაუტოვებ და ჩქარავე წავიდა.

მთელი ღამე არ მოშორებია ილიას ოლღა.

თეთრად გაათენა შავ ფიქრებში.

– ჩემო ილია, თავის გაფრთხილება უნდა იცოდე. თუ შენ არ მეყოლები, მაშინ ჩემთვის ამ ცხოვრებას აზრი არ ექნება. ცვილის კვლავტარებით იწვის ეს კაცი და სადამდის გაპყვება სანთელი, თუ ოღღა მინც არ დაზოგა თავი – ფიქრობდა, დაადობდა ოღღა და მულ ნამოსხმული დაპყურებდა მძინარე შეუღლებს, რომელიც მოუსვენრობას შეეპყრო და შფოთავდა. ოფლის წვეთებზე დაუნამეს შუბლი. ღვინობის თვე იყო, ძალიანაც არ ციოდა, მაგრამ ბუხარში მინც შეენითთ ტკაცუნა ცეცხლი, რომელიც ოთახში შემოპარულ სიცვივს წარმატებით ტყავდა და ქისერს უგრებდა.

ოღღამ მფავე ფიქრები რცხილის



შემასთან ერთად შეუკეთა ბუხარში, გალულ მუგუზებს კი მანამდის მამა გადაპკრა რამდენჯერმე ღონივრად და მაცხოვრის ხატის წინ ლოცვას შეუდგა, მუხლებმყოფი გულმშურვალედ ლოცულობდა. ცისკენ ალაპყრო მისი გული, გონება და სული, თვალებიდან ღაბღაუპით ნამოედინა ცრემლი, ილია და საქართველო შეგვედრა უფალს. ილოცა და ახლა ფსალმუნთ კითხვას შეუდგა. ილია მშვიდ ძილს მიეცა, შექმნილი შუბლიც გარდაეხსნა და სახეზედ ნათელი დაედო, ღრმად სუნთქავდა.

გათენდა. ოღღამ დავითნი ხატის წინ დასდო და ილიას დაუჯდა თავითი, რომელიც უკვე გასალევიებლად ემზადებოდა.

გალევიებული და წამოსადგომად მონადინებული ილია შუბლზე ამბორით დააცხრო და ლოცონში ნოლაზედ დაიყოლია, აგრეთვე საუზმოზეც, თუმცა კარგი მადა ილიას მუღმივი და განუყრელი თანამგზავრი გახლდათ.

ილიამ თავისი ნაწერების მოტანა მინც მოსთხოვა მეუღლეს და წააკითხა, შეასწორებინა, ზოგიერთი რამაც ჩაამატებინა. ოღღას შეატყყო, რომ მისი დატვირთულის მუშაობით სწუხდა და დაუყვავა მეუღლეს: – ძვირფასო, მე უსაქმოდ არ შემოძლიან, მოგკვებენი.

მაგრამ, ოღღა ახერხებდა ხოლმე, რომ ილიას ხანდისხან მინც ბევრი არ ემუშავებდა და უფრო მეტად დაესვენა. ახლაც ცდას არ აკლებდა, რომ უსათუთეს თანამგზავრს ურთულესი ცხოვრებისას საწუხარსა და საჭიროოროტო რამებზე არ ეფიქრნა და არ ეზრუნა, რათა გამოჯანმრთელებას ხელი შესწყობოდა.

– ცოტა მოთმინე, სულიკო, რათა ფესზე ადგი, გამოკეთდე და მერე რამდენიც საჭიროა, იმუშავე ... რადგან იცოდა, რა დიდ სასიცოცხლო ენერგიას ხარჯავდა ილია მამულიშვილურ საქმეთა ქმნაში.



„პური ჩვენი არსობისა“

წლებია გაურკვეველია ყვარელი მომხმარებლისთვის პურის ფასის საკითხი. „პური ჩვენი არსობისა“ – ნათქვამია და მის გარეშე ხომ სიცოცხლე წარმოუდგენელია. არიან მრავალწევრიანი, თუ მრავალწელიანი ოჯახები, რომელთაც ყოველდღიურად 7-8 პური მინც სჭირდებათ. მისი შექმნა კი დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ძნელია. დიდი ხანია პურის წონამაც დაიკლო და მეზობელ რაიონებში თითქმის ყველგან მისი ფასი 50 თეთრია, ყვარელში კი 60 თეთრი. რით შეიძლება აიხსნას ეს და რამდენად ხარისხიან პურს იღებს დღეს ჩვენი მომხმარებელი, რამეთუ ხშირად შეხედვა სჭირდება ჩვენს სათონებსაც, საიდანაც ფქვილის უხარისხობის გამო და სანიტარიული ნესების დარღვევით ზოგჯერ უხარისხო პურს იღებს ბევრი ჩვენი თანამოსახლე. რაიონში არსებული ვითარება გამოსწორებას საჭიროებს.

ვიმედოვნებთ, რომ მოსახლეობის თხოვნას მხედველობაში მიიღებს მაკონტროლებელი ორგანო და ამ სფეროში წესრიგს დაამყარებს.



საკრებულოს კომისიებს ძირითადად ახალი სახეები ხელმძღვანელოვნ

ქეთევან სეფაშვილი – ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

ქეთევან სეფაშვილი დაიბადა 1966 წლის 6 ივნისს, ქ. ყვარელში, მოსამსახურის ოჯახში, დედა – ეკონომისტი, მამა – აგრონომი. 1983 წელს წარმატებით დაამთავრა ყვარლის №1 საშუალო სკოლა, ხოლო 1987-1993 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, სპეციალობით პედიატრია.



მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე ქეთევან სეფაშვილი აირჩიეს საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

1995 წლიდან მუშაობდა ყვარლის რაიპოლიკლინიკაში ექიმ-პედიატრად, 2007 წლიდან კი – ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში – მთავარ სპეციალისტად. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით და გახდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი. 2017 წლის 20 ნოემბერს ყვარლის

თამარ დენტოშვილი – ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე



გახდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი. 2017 წლის 20 ნოემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე თამარ დენტოშვილი აირჩიეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

დაიბადა 1969 წლის 1 ნოემბერს, ქ. ყვარელში, მოსამსახურის ოჯახში. დედა – პედაგოგი, მამა – რაიონის მთავარი ზოოტექნიკოსი. 1986 წელს წარმატებით დაამთავრა ყვარლის II საშუალო სკოლა, ხოლო 1986-1991 წლებში თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით, 2000-2003 წლებში კი – თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1987-1997 წლებში მუშაობდა ყვარლის და ჭიკანის საშუალო სკოლებში პედაგოგად. 1997-2003 წლებში – ს.ს. „ინტელექტბანკის“ ყვარლის ფილიალში – ბუღალტერ-ოპერატორად, 2003-2006 წლებში ყვარლის რაი მმჩის განყოფი-

ლების უფროსად, 2006-2009 წლებში – სამოქალაქო რეესტრის ყვარლის სამსახურის უფროსის მოადგილედ. 2009 წელს დროებით უმუშევარია. სხვადასხვა წლებში იყო შ.პ.ს. „ჯეოსელის“ ყვარლის ფილიალის დირექტორი.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო კოალიცია „ქართული ოცნების“ ნარდგინებით და გახდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი. 2014 წლის 25 ივლისს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე აირჩიეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პარტიული სიით და

ზურაბ კაკანაძე – ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე



დაიბადა 1989 წლის 21 სექტემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ბალოჯიანში. დედა – პედაგოგი, მამა იურისტი. 2006 წელს წარმატებით დაამთავრა ყვარლის მეორე საშუალო სკოლა, ხოლო 2006-2010 წლებში ფილიპე გოგი-

ჩაიშვილის სახელობის თბილისის ოური-დიულ-ეკონომიკური ინსტიტუტი, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის სპეციალობით.

2015-2017 წლებში მუშაობდა ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლად ბალოჯიანის ადმინისტრაციულ ერთეულში.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ მიერ დასახელდა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ბალოჯიანის ადმინისტრაციულ ერთეულში. არჩევნებში გამარჯვების შედეგად გახდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.

2017 წლის 20 ნოემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე ზურაბ კაკანაძე აირჩიეს ოური-დიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

ზურაბ ჩხეიძე – ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე



რელში წარადგინა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, გამარჯვდა არჩევნებში და გახდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი.

2017 წლის 20 ნოემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე ზურაბ ჩხეიძე აირჩიეს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

დაიბადა 1979 წლის 30 მარტს, ყვარელში, აგრონომისა და ფილოლოგის ოჯახში, 1985 წელს შევიდა და 1996 წელს დაამთავრა ყვარლის №3 საშუალო სკოლა. ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე, საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის სპეციალობით, რომელიც დაასრულა 2002 წელს, მინიჭებული აქვს ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი.

2002 წლის სექტემბრიდან დაბრუნდა ყვარელში და დაიწყო მუშაობა ყვარლის რაიონული საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწედ ეკონომიკურ საკითხებში.

2004 წლის ნოემბრიდან მუშაობდა ს.ს. სახალხო ბანკის ყვარლის ფილიალში ექსპერტ-შემფასებლად, შემდგომში საკრებულო მენეჯერად.

2009 წლის ივნისიდან ოთხი წლის განმავლობაში მუშაობდა ს.ს. ბანკ რეს-

პუბლიკა-ს ყვარლის ფილიალის მმართველად.

2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის 19 ივნისის თვითმმართველობის არჩევნებამდე მუშაობდა ყვარლის იუსტიციის სახლის მენეჯერად.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად ქ. ყვარელში წარადგინა კოალიცია „ქართული ოცნება“, გამარჯვდა არჩევნებში და გახდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი.

2014 წლის 14 ივლისს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე ზურაბ ჩხეიძე აირჩია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად ქ. ყვა-

„რა გითხრათ, რით გაგახაროთ!?“ ...საზოგადოებას მან ქართული ფოლკლორული სიმღერების და დიდი ილიას შემოქმედების ერთგვარი ნაზავი წარუდგინა

„ილიაობის“ სახალხო დღესასწაულს ტრადიციულად წინ უძღვის „ილიას კვირეული“, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა სახის ღონისძიებები ტარდება ყვარლის მუნიციპალიტეტის კულ-

ტურულ – საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამ პერიოდში, განსაკუთრებული აქტიურობა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის სააქტო დარბაზში შეიმჩნევა.

ამჯერად, 1 ნოემბერს „ილიას კვირეული“ გაიხსნა ლიტერატურულ – მუსიკალური კომპოზიციით „რა გითხრათ, რით გაგახაროთ!“, რომლის ორგანიზატორი იყო ყვარლის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი, ფოლკლორული სიმღერის ანსამბლ „ხეუროს“ ხელმძღვანელი ბატონი ირაკლი მათიკაშვილი.

ფოლკლორული სიმღერების და დიდი ილიას შემოქმედების ერთგვარი ნაზავი წარუდგინა, რითაც დიდი მონონება დაიმსახურა.

ია გიგიაშვილი



ღონისძიებას უძღვევოდა ყვარლის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ქალბატონი იზოლდა იოსებანი. ფოლკლორულმა ანსამბლებმა „ხეუროს“, „შილდამ“ და ტრიო „თოლიამ“ წარმოადგინეს ღონისძიების მუსიკალური ნაწილი, რომელსაც ცვლიდა ლიტერატურული ეპიზოდები ილიას შემოქმედებიდან და მოღვაწეობიდან. ქალბატონებმა: თამარ ზურიაშვილმა, ეთერ ხარებაშვილმა და იზოლდა იოსებანი ილია ჭავჭავაძის შესახებ არსებულ მოგონებებს მოუყარეს თავი და კიდევ ერთხელ გაიხსნეს მისი ცხოვრება.

ძალიან საინტერესო ეპიზოდი იყო ანსამბლ „ხეუროს“ წევრების მიერ წარმოდგენილი ილიას „რა გითხრათ, რით გაგახაროთ!“, რომელიც დღესაც არ კარგავს აქტუალობას.



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად ავებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრა გიგიაშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარალი, კულდორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86